

შპს სიმეტრა ს/კ:204567174

ტელ: (032)2 14 55 88;

email: info@orei.ge



შპს სიმეტრა
ს/კ: 204567174

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის





სარჩევი

ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ	3
საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა	3
კომენტარები ფინანსურ ანგარიშგებაზე	8
დანართი #1 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	13
დანართი #2 - კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	14
დანართი #3 - მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	15
დანართი #4 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება	16
დანართი #5 ციფრული ფორმები/ფინანსური მდგომარეობა/	18
დანართი #6 ციფრული ფორმები /საქმიანობის შედეგები/.....	19
დანართი #7 ციფრული ფორმები /ფულადი სახსრების მოძრაობა/.....	20



1. ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა – შპს, რომელიც რეგისტრირებულია 08.04.2009 წელს, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს ს/ნ 204567174, იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ულიანოვის ქ. N29. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება.

კომპანიის მესაკუთრეები არიან:

ზაზა გაიაშვილი (პ.ნ. 01024016860) - 49%

გიორგი ტყემელაშვილი (პ.ნ. 01017003865) – 49%

ბექა სიხარულიძე (პ.ნ. 01019069277) – 2%

2. საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ფიქსირებული აქტივების ისტორიულ ღირებულებაზე დაყრდნობით. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების“ შესახებ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისათვის ოფიციალური კურსით ლარებში. სავალუტო პოზიციების მიხედვით წარმოქმნილი კურსთა შორის სხვაობები აისახება ფინანსურ შედეგებზე.

დებიტორული დავალიანება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა



სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ნაყიდი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, მონტაჟის, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და მასზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა,



როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ბრენდირებასთან დაკავშირებულ მომსახურების მიღებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემგდომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებას ან ზარალში.



იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კვალიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოედგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

კაპიტალი და დივიდენდები



კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან, დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როცა გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოება მუშაობს დარიცხვის მეთოდით, სადაც შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა მომსახურება გაწეული, მიუხედავად მის სანაცვლოდ ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი წყაროების მიხედვით;

ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება: დივიდენდების გასაცემად და სხვა მიზნით.

3. კომენტარები ფინანსური ანგარიშგებაზე

ახსნა-განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

(იხ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

ფულადი სახსრები (სალარო)

საწარმოში შემოსული და გაცემული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში. სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები გამოწერილია სწორად, რომელსაც თან ახლავს დამადასტურებელი დოკუმენტები, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სალაროს ნაშთი არის 148 ლარი.

საბანკო ანგარიშები

საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად, საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილი აქვს სს „პროგრესიტი ბანკში“, სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“. საერთო ფულადი თანხა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7560 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2020
სს პროგრესიტი ბანკი	0
სს საქართველოს ბანკი	2007
სს თიბისი ბანკში	5553

მიმდინარე აქტივები

საწარმოს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებელზე გადახდილი ავანსი შეადგენს 65075 ლარს.

ნედლეულისა და სასაქონლო მატერიალური მარაგები

2020 წლის მდგომარეობით ნედლეულისა და სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენს 505110 ლარს:

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	ნაშთი 31.12.2020
საქონელი	72419	58636
ნედლეული და მასალები	240008	324965
მზა პროდუქცია	34692	69864
საწვავი	541	4642
სხვა	30180	47003
	377840	505110

გრძელვადიანი აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 1088712 ლარს, მათ შორის:

- მანქანა-დანადგარები - 744629 ლარი
- ოფისის აღჭ., კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და ინვენტარი - 28347 ლარი
- სატრანსპორტო საშუალებები - 165686 ლარი
- სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 150050 ლარს

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	ნაშთი 31.12.2020
ძირითადი საშუალებები	749390	1455189
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(251575)	(366477)
	497816	1088712

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 56759 ლარს.

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	ნაშთი 31.12.2020
არამატერიალური აქტივები	51,570	73904
არამატერიალური აქტივების ცვეთა	(16226)	(17145)
	35344	56759

გაცემული ავანსები

საწარმოს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებელზე გადახდილი ავანსი შეადგენს 65075 ლარს.

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	ნაშთი 31.12.2020
გაცემული ავანსები	379303	65075

ხოლო სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი შეადგენს 36750 ლარს.

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	ნაშთი 31.12.2020
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	10716	36750

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1402359 ლარს.

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	ნაშთი 31.12.2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	982665	1402359

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები შეადგენს 760983 ლარს.

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	ნაშთი 31.12.2020
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	375494	760983

გადასახდელი ხელფასები შეადგენს 62337 ლარს.

სასესხო ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1294299 ლარს.

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	ნაშთი 31.12.2020
სასესხო ვალდებულებები	992508	1294299

გადასახდელი სესხის პროცენტები

გადასახდელი პროცენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 16202 ლარს.

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	ნაშთი 31.12.2020



გადასახდელი პროცენტები დამფუძნებლის სესხებზე	34229	0
გადასახდელი პროცენტები (ბანკის სესხზე)	26341	16202
		16202

საგადასახადო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს 97268 ლარს, მათ შორის:

- დაგროვებითი პენსია - 2969 ლარს
- სსიპ საპენსიო სააგენტო - 4943 ლარს
- ერთიანი ანგარიში საბიუჯეტო 101001000 – 85896 ლარს
- ქონების გადასახადი - 3460 ლარს

საკუთარი კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი საკუთარი კაპიტალი შეადგენს 939926 ლარს, მათ შორის:

- საწესდებო კაპიტალი - 511152
- გაუნაწილებელი მოგება 428774

ახსნა-განმარტებები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე

(იხ. მოგება ზარალის დანართი)

შემოსავლები

ფინანსური კუთხით 2020 წელს მიწოდებიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 5911689 ლარი, მათ შორის:

- შემოსავლები რეალიზაციიდან - 5752076 ლარს
- სხვა საოპერაციო შემოსავალი - 159612 ლარს

ხარჯები

საზოგადოების მთლიანმა დანახარჯებმა შეადგინა 5671607 ლარი. დანახარჯებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაზე - 52%, შრომის ანაზღაურებაზე - 19%, მარკეტინგულ ხარჯზე - 3% და საპროცენტო ხარჯებზე - 2%, რეალიზებული საქონლის/პროდუქციის ფასდათმობა - ქეშბეკზე - 7%, საწვავის ხარჯზე - 2%, ხოლო სხვა ხარჯებზე - 14%.

2020 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 298584 ლარი.

ახსნა-განმარტებები ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისზე

(იხ. დანართი ფულადი ნაკადების მოძრაობაზე)

2020 წლის განმავლობაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხა შეადგენს 241220 ლარს, საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობაზე ფულადმა გასავალმა შეადგინა 308387 ლარი, 2020 წლის საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის საზოგადოების ფულადი სახსრები შეადგენდა 13330 ლარს, ხოლო პერიოდის ბოლოსათვის შემცირდა 5525 ლარით და შეადგინა 7805 ლარი.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

(იხ. დანართი კაპიტალის მოძრაობაზე)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშიდან ჩანს, რომ 2020 წელს შემცირდა 135209 ლარით, საბოლოოდ საზოგადოების მთლიანი კაპიტალი შეადგენს 511152 ლარს.

2020 სამეურნეო წლის ანგარიშის დანართი #1

შპს სიმეტრა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

<u>მიმდინარე აქტივები:</u>	<u>31.12.2020</u>	<u>31.12.2019</u>
ფულადი სახსრები	7805	13330
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	65075	379,303
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	36751	10,716
სხვა აქტივები	-	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1402359	982,665
მოთხოვნა საწარმო პერსონალის მიმართ	8443	2,352
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	454491	377,839
მთლიანი მიმდინარე აქტივები:	1974924	1,766,205

**გრძელვადიანი აქტივები:**

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება	1088712	497,816
არამატერიალური აქტივები.	56759	35,344
სულ გრძელვადიანი აქტივები:	1145477	533,160
სულ აქტივები	3171015	2,299,365

მიმდინარე ვალდებულებები:

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	760983	375,494
სასესხო ვალდებულებები	1294299	992,508
სხვა ვალდებულებები	78538	35,026
საგადასახადო ვალდებულებები	97268	57,952
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები:	2231089	1,521,551

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	511152	646,361
გაუნაწილებელი მოგება	131151	114,170
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	297623	17,283
მთლიანი საკუთარი კაპიტალი:	939926	777,814
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:	3171015	2,299,365

2020 სამეურნეო წლის ანგარიშის დანართი #2

შპს სიმეტრა

2020 წლის კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

დასახელება	ნაშთი 01.01.2020	ნაშთი 31.12.2020
საწესდებო კაპიტალი	646,361	511152

შპს სიმეტრა ს/კ:204567174

ტელ: (032)2 14 55 88;

email: info@orei.ge



გაუნაწილებელი მოგება	114170	131151
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	17283	297623
სულ კაპიტალი	777814	939926

2020 სამეურნეო წლის ანგარიშის დანართი #3

შპს სიმეტრა

2020 სამეურნეო წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

<u>შემოსავალი</u>	<u>2020</u>	<u>2019</u>
შემოსავლები რეალიზაციიდან	5752076	4381939

ჯამი:	5911688	4397938
--------------	----------------	----------------

რეალიზებული საქონლის/ მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის/პროდუქციის თვითღირებულება	(2935149)	(2,622,490)
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	(362028)	(228,166)
კომუნალური ხარჯი	(24818)	(24,690)
რემონტის ხარჯები	(32191)	(20,742)
სხვა საწარმოო ხარჯები	(13968)	(11,334)
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	(953)	(23,459)

ჯამი:	(3369106)	(2930880)
--------------	------------------	------------------

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

მარკეტინგული მომსახურების და რეკლამის ხარჯი	(195838)	(235,360)
რეალიზებული საქონლის/პროდუქციის ფასდათმობა - ქეშბექი	(398569)	(126,558)
ხელფასის ხარჯი	(722032)	(361,001)
სხვა დასაბეგრი განაცემი თანამშრომლებზე	(12488)	(23,799)
ტრანსპორტირების ხარჯი	(7008)	(2,282)
ავტომანქანების რემონტისა და ექსპლუატაციის ხარჯი	(88543)	(54,657)
საწვავის ხარჯი	(122450)	(100,856)



მიწოდების სხვა ხარჯები	(0)	(546)
დამფუძნებლების მიერ მიღებული სარგებელი	(28624)	(7,160)
დაცვის ხარჯი	(8348)	(4,418)
იჯარის ხარჯი	(103134)	(85,113)
საკანცელარიო ხარჯი	(3849)	(2,759)
კომუნიკაციის ხარჯი	(18880)	(13,349)
დაზღვევის ხარჯი	(36567)	(29,736)
რემონტის ხარჯი	-	-
კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(10539)	(6,057)
დაგროვებითი პენსიის ხარჯი	(19254)	(11,446)
ცვეთა და ამორტიზაცია	(116067)	(89,879)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(8118)	(3,894)
საბანკო ხარჯი	(13376)	(10,091)
მივლინების ხარჯი	(29017)	(19,001)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(17668)	(31,620)
სხვა საერთო ხარჯები დიფერენცირებული	(71969)	(78,901)
ჯამი:	(2031916)	(1298,481)
საოპერაციო მოგება (ზარალი)	351054	168,577
<u>არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები</u>		
საკურსო სხვაობა	(61642)	(9,749)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	116357	23277
საპროც. შემოს. სუბსიდ % აწარმოე საქ.	43256	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(32085)	(25,981)
საპროცენტო ხარჯები		



	(118356)	(122,166)
ჯამი:	(212084)	(150,618)
მოგება დაბეგვრამდე	298584	17,959
მოგების გადასახადის ხარჯი	(960)	(675)
წმინდა მოგება	297624	17,283

2020 სამეურნეო წლის ანგარიშის დანართი #4
შპს სიმეტრა

2020 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	2020	2019
მოგება დაბეგვრამდე	298584	17,959
ცვეთა და ამორტიზაცია	116067	89,879
ზარალი/(მოგება) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(61642)	(9,749)
შემცირება/ზრდა სასაქონლო მატერიალურ ფასეულობაში	(76651)	(12,440)
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(467962)	(394,123)
შემცირება/ზრდა გადახდილ ავანსებში	279751	(282,357)
შემცირება/ზრდა საგადასახადო აქტივებში	-	-
შემცირება/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	428454	178,605
შემცირება/ზრდა მიღებულ ავანსებში	-	-
შემცირება/ზრდა გადასახდელ გადასახადებში	39315	37,514
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	(555916)	(374,712)
მოგების გადასახადი	(960)	(675)
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(554955)	(375,388)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(135209)	
შემცირება/ზრდა ძირითად საშუალებებში	(706045)	(216,617)
შემცირება/ზრდა არამატერიალურ აქტივებში	(22088)	(4,288)
შემცირება/ზრდა ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში		
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	(863342)	(220,905)

**ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან**

გადახდილი სესხი	241220	584,779
გადახდილი დივიდენდი (გადასახადების ჩათვლით)		-
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა ფინანსური საქმიანობიდან	241220	584,779
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	61642	9,749
წმინდა ფულის ზრდა	(5525)	(1,764)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	13,330	15,094
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	7805	13,330

შპს სიმეტრა ს/კ:204567174

ტელ: (032)2 14 55 88;

[email: info@orei.ge](mailto:info@orei.ge)



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2020

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7805
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1402359
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	101826
მარაგები	505110
მზა პროდუქცია	454491
სხვა	50619
საინვესტიციო ქონება	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	8443
ბიოლოგიური აქტივები	0
თვითღირებულების მოდელით	0
გადაფასების მოდელით	0
გუდვილი	0
სხვა არამატერიალური აქტივები	56759
ძირითადი საშუალებები	1088713
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0
სულ აქტივები	3171015

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0
სავაჭრო ვალდებულებები	760983
ანარიცხები	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	62337
საგადასახადო ვალდებულებები	97268
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	624299
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	670000
მიღებული გრანტები	0
სხვა ვალდებულებები	16202
სულ ვალდებულებები	2231089

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საემისიო შემოსავალი	511152
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	428774
გადაფასების რეზერვი	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0
სულ საკუთარი კაპიტალი	939926
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3171015
სულ მოკლევადიანი აქტივები	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0

დირექტორი: ბექა სიხარულიძე

18

შპს სიმეტრა ს/კ:204567174

ტელ: (032)2 14 55 88;

email: info@orei.ge



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

31/12/2020

ნეტო ამონაგები	5752076
საქონლის გაყიდვიდან	5752076
მომსახურების გაწევიდან	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0
სხვა	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2936102
საწყისი მარაგები	0
მარაგების შესყიდვა	0
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	0
საერთო მოგება	2815974
სხვა საოპერაციო შემოსავალი	116357
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1084059
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-116067
საპროცენტო შემოსავალი	43256
საპროცენტო ხარჯი	-115873
იჯარის ხარჯი	-103134
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1161660
სულ საოპერაციო ხარჯები	-2421180
საოპერაციო მოგება	394794

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო	-61642
მიღებული დივიდენდები	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-34568
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	298584
მოგების გადასახადის ხარჯი	-960
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	297624

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რე	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გ	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	297624
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	777814
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივ	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-135209
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-303
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	939926

შპს სიმეტრა ს/კ:204567174

ტელ: (032)2 14 55 88;

[email: info@orei.ge](mailto:info@orei.ge)



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2020

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ	554955
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენე	-863342
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წ	241220
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-67167
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	61642
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	13330
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7805

დირექტორი: ბექა სიხარულიძე
